

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველოლოგიის ცენტრი

**ნ. ვ. შუკუროვი**

# **ხახულის ქართული მონასტერი**

ბათუმი – 2015



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართველოლოგიის ცენტრი

**ნ. მ. შუგუროვი**

# სახელის ქართული მონასტერი



გამომცემლობა  
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2015



**საგამომცემლო საბჭო:** პროფესორი **მამია ფაღავა**  
ასოც. პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**  
პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**  
პროფესორი **თინა შიოშვილი**  
პროფესორი **ნუგზარ მგელაძე**  
პროფესორი **შოთა მამულაძე**  
პროფესორი **რამაზ ხალვაში**  
ასოც. პროფესორი **თამაზ ფუტკარაძე**  
პროფესორი **მერი ცინცაძე**  
პროფესორი **მარინე გიორგაძე**  
ასოც. პროფესორი **მაია ბარამიძე**

ნარკვევის ავტორი, პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი მოგვითხრობს ხახულის ქართული მონასტრის მდგომარეობაზე XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი მუშაობდა ხახულის მმართველად. შრომაში მკითხველი ასევე ნახავს ცნობებს იმ პერიოდის ხახულის თემის ყოფისა და ყოველდღიურობის შესახებ.

წიგნი დაინტერესებს ქართული ხელოვნების ისტორიის სპეციალისტებს, ასევე ეთნოგრაფებს, ისტორიკოსებს და ისტორიული სამხრეთ საქართველოთი დაინტერესებულ მკითხველებს.

რუსულიდან თარგმნა, ასოც. პროფესორმა **რევაზ დიასამიძემ**.

შესავალი წერილი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ  
**ჯემალ ვარშალომიძისა**

სარედაქციო ჯგუფი: პროფესორი **მამია ფაღავა**  
პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**  
ასოც. პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**  
პროფესორი **ნუგზარ მგელაძე**  
პროფესორი **თინა შიოშვილი**

რედაქტორები: პროფესორი **მამია ფაღავა**  
პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**

რეცენზენტი: პროფესორი **ოთარ გოგოლიშვილი**

ISBN 978-9941-462-20-7  
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2015

**პროფილი ნ. მ. შუგუროვი და მისი ნაბეჭდი**

ჩვენი ეროვნული საისტორიო მწერლობის საუნჯეს, ქართველ მემატიანეთა წყაროთმცოდნეობითი მასალების გარდა, მნიშვნელოვნად ამდიდრებს სხვადასხვა ეპოქის უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა მიერ ჩვენი სამშობლოს შესახებ შეკრებილი ცნობები, რომელთაგან დიდი ნაწილი მოპოვებული აქვთ კონკრეტულ ფაქტებზე, მოვლენებზე, საგნებზე უშუალო დაკვირვების გზით, ან გამოუყენებიათ ხელმისაწვდომი წერილობით-ლიტერატურული მონაცემები და ზეპირი გადმოცემები. ამჯერად საქმე გვაქვს ისეთ ავტორთან, რომელმაც დაახლოებით საუკუნის წინ არა მარტო აღწერა გამორჩეულად ღირსშესანიშნავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოვლენები, არამედ გარკვეული ბიბლიო მისცა ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლის – ხახულის მონასტრის შესწავლის საქმეს. ეს პიროვნება იყო პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი<sup>1</sup>. იგი, 1914

<sup>1</sup> ნ.მ. შუგუროვის შესახებ მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება. უცნობია მისი სახელი. იგი ხელმისაწვდომ წყაროებში გვართა და Н.М. ინიციალებითაა მითითებული. სახელი, შესაძლოა, იყოს Н(иколай), ხოლო М(ихайлович), ე.ი. მამის სახელი, ადვილად ამოსაცნობია, რადგან იგი ცნობილი ისტორიკოსი იყო, რაზედაც არსებობს მინიშნებები. ამრიგად, ნ.მ. შუგუროვი იუნკერთა სასწავლებლის კურსდამთავრებული, უმცროსი ჩინის ოფიცერია – პორუჩიკი, რომელმაც გამოაქვეყნა რუსულ ენაზე-ქუთაისში «Дневник юнкера» (1912), ყარსში «Учение Вольфа Ларсона о жизни» (1913), თბილისში «Сарыкамыш» (1914), იქვე, «Проблески Христианства в Турции» (ეურნად «Вестник Грузинского Экзархата», № 12,1916), ხოლო ბათუმში («Грузинский Хахулский монас-

წელს, რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში იმყოფებოდა და მსახურობდა სარიყამიში<sup>2</sup>, ხოლო 1916 წლის ადრე გაზაფხულზე დაუნიშნავთ ხახულის (ხოსუდის) რაიონის კომენდანტად. მან თურქების მიერ XVI საუკუნის მეორე ნახევარში მიტაცებული ტაოს პროვინციის ტერიტორიაზე მდებარე დანგრევა-გაპარტახებას გადარჩენილი ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლის – ხახულის მონასტრის მიმართ შესაშური ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა.

ვიდრე უშუალოდ მთავარ საკითხს შევეხებოდეთ, აღვნიშნავ, რომ შუგუროვი საკმაოდ გათვითცნობიერებული ყოფილა

---

тыр», 1918). უცნობია შუგუროვის შემდგომი ბედი. უნდა ვიფიქროთ, რომ მას საბჭოურ სინამდვილესთან შეგუება გაუძნელდებოდა.

ცნობილია მისი მამა – მიხეილ თეოდორეს ძე შუგუროვი (1829–1891), მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, პედაგოგიური საქმიანობის გარდა მოღვაწეობდა ისტორიის სფეროში, გამოქვეყნებული ჰქონდა წიგნები. (Энциклопедический словарь, 1903:957).

დედა – ანა ალექსანდრეს ასული შუგუროვა ყოფილა ღვთისმოყვასი, ქველმოქმედი. როგორც ჩანს, ქუთაისიდან მეორე შვილის ე.ი. ნ.მ. შუგუროვის ძმის (სახელი უცნობია) გარდაცვალების შემდეგ წასულა. ვგებულობთ, რომ მას ოდესიდან ხახულის ტაძრისათვის ხატები გამოუგზავნია.

<sup>2</sup> ნ.მ. შუგუროვს, 1914 წელს, თბილისში დაუბეჭდავს ნაშრომი: «Сарыкамыш», რომელშიც აღწერილია რუსეთ-თურქეთის საბრძოლო ბატალიები. აქვე უნდა ითქვას, რომ სარიყამიშის ოპერაცია რუსეთის მიერ ოსმალთა სრული განადგურებით დასრულდა. ცნობილია, რომ ამ ბრძოლაში 90 ათასი ჯარისკაციდან ოსმალებმა დაკარგეს 70 ათასი, მათ შორის 30 ათასი მოყინულთა სახით. რუსთა დანაკარგი 20 ათასი იყო. ამ ბრძოლაში გამიჯნული შემართებით გამოირჩეოდნენ ქართველი მეომრებიც, ამათგან აღსანიშნავია ლეგენდარული ტარასი ვაშაკიძე. იგი („შაითან კაპიტანი“) შიშის ზარს სცემდა მტერს. მან ერთი ასეულით უმსხვერპლად დაატყვევა 2 ათასი თურქი ჯარისკაცი, ასზე მეტი ოფიცერი და თურქეთის არმიის მე-9 კორპუსის სარდლობა ისხან-ფაშას მეთაურობით (სიორიძე, 2002:77,78; სიორიძე, 2008:365).

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იგი იხსენებს საქართველოს მეფეთა, დიდებულთა, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა დვაწლს მრავალსაუკუნოვანი კულტურის, რწმენის, ენის გადარჩენისათვის ბრძოლაში. ასევე, აღნიშნავს მათ დღენიადგ ზრუნვას ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობის, განახლებისა და სულიერ-რელიგიურ ფასეულობათა გადარჩენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისათვის. გასაკვირი არ არის, რომ შუგუროვი, როგორც მონარქისტი და იმპერიის ოფიცერი, ცდილობს ისაუბროს რუსეთის პოზიტიურ როლზე, მიუთითებს იმ ტაძრებზე, რომელთა რესტავრაციაში საიმპერატორო კარმა წვლილი შეიტანა, ხოლო საომარ ვითარებაში რუსი სალდათების უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს ძირითადად რევოლუციურ-ათეისტური განწყობილებით ხსნის. მისი მიზანი არც ყოფილა რუსეთის მიერ მიყენებული ზიანის განსჯა. სამაგიეროდ, საყურადღებოა, რომ იგი გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეკლესიების მიმართ მზრუნველობას და მათ შესწავლას ისტორიკოსების, არქეოლოგების და სასულიერო პირების მიერ.

ამჯერად შევეცდებით, შუგუროვის კეთილშობილურ საქმიანობას დაწვრილებით შევეხოთ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხახულში მის შესვლას, პირველ ნაბიჯებს, თვალწარმტაცი ბუნების ხილვას, დადებით ემოციებს თავისებური გავლენა უნდა მოეხდინა ახალგაზრდა ოფიცერზე. იგი აღუფრთოვანებია სოფლის განაპირას მდებარე ხახულის მონასტრისათვის შერჩეულ ულამაზეს ადგილს, ხეხილის ბაღებში ჩაფლულ სახლებს, ნაკადულებს, ჩანჩქერებს. ვგებულობთ იმასაც, რომ იქ ნამყოფ ყოფილ სამხედროებს სამოთხისათვისაც შეუდარებიათ ეს კუთხე. უნდა გავიხსენოთ თურქ მოსახლეობაში გავრცელებული გამოთქმა: სილამაზით განთქ-

მულია ოშკის ტაძარი, ადგილმდებარეობით – ხახული და მოხატულობით – იშხანიო (მენაბდე, 1962:44).

ხახულის რაიონის კომენდანტად დანიშნვიდან მოკლე დროში შუგუროვს ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა დაუმსახურებია. მისი ავტორობით ბათუმში 1918 წელს გამოცემული ბროშურიდან<sup>3</sup> ვგებულობთ, რომ: „... ხახულელი თურქები ყოველთვის ძალზე კეთილად და მეგობრულად განწყობილნი“... ყოფილან მის მიმართ. ავტორი აზუსტებს მათ ქართულ წარმომავლობას, სხვადასხვა მონაცემზე დაყრდნობით არკვევს, რომ ქართული ენა უამთა სიავის, ანუ თურქ დამპყრობთა უღელქვეშ ყოფნის გამო დაუკარგავთ. მას ხახულელებთან ურთიერთობაში პირველი ნაბიჯიც გადაუდგამს. მუსლიმანი მოსახლეობა დახმარებია ქრისტიანული ტაძრის დასუფთავება- გაწმენდაში, ხოლო 1916 წლის 29 მაისს ტაძრის გუმბათზე და მთავარ პორტიზე აღუმართავს „ქართული ეკლესიების ტიპის ორი დიდი ჯვარი, გაკეთებული თუთის ხიდან, მორთული მინანქრული ორნამენტაციით“. გარდა ამისა, დაუმზადებია კანკელი, წმინდა ტახტი, სამსხვერპლო, ორი ანალოგია ხატებისათვის, მაგიდა

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ კ.დ. მაჭავარიანის გამომცემლობაში მომზადებული და პ.ი. ხვინგიას სტამბაში რუსულ ენაზე დაბეჭდილი „ხახულის ქართული მონასტერი“ წარმოადგენს მოკლე ნარკვევს იმ მოხსენებისა, რომელიც პორუნიკმა შუგუროვმა წაიკითხა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების დეპუტატთა დარბაზში 1917 წლის 6 ივნისს. არაა გამორიცხული, რომ ყოველივე ეს ავტორისა და ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის პოლიტიკური განწყობილების გამოვლენის შედეგი იყო. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ისიც მიგვანიშნებს, რომ ეს ბროშურა დაისტამბა იმ ტიპოგრაფიაში, რომელიც ცნობილია საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციისა და პოლიტიკური დოკუმენტების ოპერატიულად მიწოდებაში. აქ დაიბეჭდა: „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამა და ინსტრუქცია (1919 წ.), საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921 წ.) და სხვა.

სანთლებისათვის, ტრაპეზის იქითა ჯვარი. ხატები კი ოდესიდან დედამისს გამოუგზავნია; ტრაპეზის იქითა ჯვარზე გაუკეთებია ქართული წარწერა: „აღსდექ უფალო, განსასვენებლად შენდა კიდობანი სიწმინდისა შენისა“.

შუგუროვს საკმაოდ საინტერესოდ და დეტალურად აქვს აღწერილი ტაძრის გუმბათზე ახალი ჯვრის დადგმის სცენა: „... გუმბათზე, დამხმარე საშუალებების არარსებობის პირობებში, ჯვრის დადგმა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩემს გუნდში აღმოჩნდა ერთი ქართველი ჯარისკაცი რახრადე, რომელიც პირდაპირ მევედრებოდა, დამერთო ნება ამძვრალიყო გუმბათზე და აღემართა იქ ჯვარი. პირდაპირ საოცრებით აადწია რახრადემ გუმბათამდე, თან აათრია ჯვარი და ქრისტიანობის სიმბოლომ კვლავ დაამშვენა ძველი ტაძარი. მრავლად შეგროვილი თურქები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ჯარისკაცს...“ გუმბათზე დადგმულ ჯვარზე იყო წარწერა: „გაკეთებულია კომენდანტი, პორუჩიკი შუგუროვის მიერ. 1916 წლის მაისი“. ეს თხრობა გრძელდება კიდევ ერთი ნიუანსით. რახრადეს, ჩამოგდებული ჯვრის ძველ ბუდესთან, –ფსკერზე უნახავს გაღეული ხის ნატეხი, რომელიც, სავარაუდოდ, ტაძრის ძველი ჯვრის ნაშთი ყოფილა. იგი, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, არასოდეს არ ლპება (აღბათ, ურთხმელი უნდა ყოფილიყო), რომლისაგანაც შუგუროვს სატრაპეზო ჯვარი გაუკეთებია (შუგუროვი, 1918:18,19). იმავე წლის 24 ივნისს შუგუროვს ჩაუტარებია მის მიერ განახლებული ტაძრის საზეიმო კურთხევა. გალობა შემდგარა რუსულ და ქართულ ენაზე. ძირითადად სამხედროები ლოცულობდნენ. ზეიმს დასწრებია სოფლის მუსლიმანი მოსახლეობა (შუგუროვი, 1918:18–20). ამრიგად, ნათელი ხდება, რომ რუსმა პორუჩიკმა, ქართული კულტურის უაღრესად პატივისმცემელმა, აღადგინა ტაძარში სამი საუკუნის განმავლობაში

შეწყვეტილი ქრისტიანული ღვთისმსახურების ცერემონია. მას სხვა სასიკეთო საქმეც გაუკეთებია, რის შესახებაც დიდი ეჭვთიმე თაყაიშვილი გვამცნობს: „პორუჩიკი ნ.მ. შუგუროვი მეტად პატიოსანი, სათნო და ღვთისნიერი ადამიანია, როდესაც მან პირველად ხახულის ეკლესია ნახა, გაოცებული დარჩა მისი ლამაზი სტილით, მშვენიერი დაცვით დამკვიდრდა ამ ძველსადმი კარგის განწყობილებით. მე და სხვებსაც მოგვწერა არაერთი აღტაცებული წერილი და გვთხოვა, მოგვეწყო ექსპედიცია ძველის შესასწავლად. მეც დავპირდი“ (თაყაიშვილი, 1991:217).

მართლაც, ეს თხოვნა ერთი წლის შემდეგ ასრულდა. თუ ვისი ქომაგობით და რა შედეგით, ამის შესახებ შუგუროვს ზემოთ აღნიშნული წიგნაკის ბოლო გვერდზე მოკლედ უწერია: „1917 წლის ზაფხულში, ჩემი ინიციატივით და სრულიად საქართველოს პატრიარქის ადგილმონაცვლის მაღალ უწმინდესობის ლეონიდეს და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ თავად კ. აფხაზის განათლებული ხელშეწყობით მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ხახულის მონასტერში. ექსპედიციამ შეაგროვა მდიდარი მასალა, რომელსაც ამუშაებენ ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ე.ს. თაყაიშვილი და მხატვარი დ. შევარდნაძე“ (შუგუროვი, 1918:21).

უკვე აღვნიშნეთ, რომ შუგუროვი მოხიბლული იყო ხახულის მონასტრის მშვენიერებით და ცდილობდა, იგი მეცნიერთა შესწავლის ობიექტი გამხდარიყო. აქვე შევნიშნავთ, რომ ხახულისადმი ინტერესი მას გაცილებით ადრე გასჩენია: „მოგონებები ხახულზე, მის მდიდარ ბუნებასა და ადგილობრივ მცხოვრებლებზე, ყოველთვის შეადგენენ ჩემი ცხოვრების ნათელ ფურცელს. 5 წლის წინ დედაჩემი და ჩემი ძმა ცხოვრობდნენ ქუთაისში, მე ხშირად ჩავდიოდი მათთან და, როგორც სეირნობის დიდი მოყვარული, ხშირად დავდიოდი

მდინარე წყალწითელის ხეობაში, სადაც განლაგებულია მოწამეთა და გელათის მონასტრები. აქ მე ძალიან დავინტერესდი ადგილობრივი ლეგენდებით და, კერძოდ, ხახულის ღვთისმშობლის ხატი<sup>4</sup> (შუგუროვი, 1918:2,3). როგორც კი გაამწესეს იგი ხახულის (ხოსუდის) რაიონის კომენდანტად, კვლავ გაუცოცხლდა ცნობისმოყვარეობა და მოუნდა ხახულის ღვთისმშობლის ხატის „სამშობლო“ თუნდაც ნანგრევების სახით ენახა და ფოტო გადაეღო. ძიებამ მალე მიიყვანა არა ქვების გროვასთან, არამედ „... გენიალური ოსტატის ბრწყინვალე ქმნილებასთან“... (შუგუროვი, 1918:3).

ხახულით დაინტერესებული ნ.მ. შუგუროვი დასახელებულ ნაშრომში მოგვითხრობს ამ ტაძრის ისტორიულ წარსულზე: ვინ და როდის ააშენა, რა განახლება განიცადა, რა შემოწირულობა მიიღო და ა.შ. იგი ზოგადად ახასიათებს ძეგლის ხუროთმოძღვრულ ღირსებას; ყურადღებას ამახვილებს ნაგებო-

<sup>4</sup> ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ქართველი ოსტატის ნამუშევარი (XII საუკ. პირველი ნახევარი), მოჭედილი იყო ლითონით (მოჭედილობას დღემდე არ მოუღწევია), სახე და ხელები მინანქრით იყო შესრულებული. არსებობს განსხვავებული დათარიღება. იგი X საუკუნის ქართული მინანქრის ნიმუშად არის მიჩნეული (აბრამიშვილი, 1979:3). იგი დასახელებული მონასტრის უმნიშვნელოვანეს საგანძურს წარმოადგენდა. გამოთქმულია აზრი, რომ სელჩუკების შემოსევის დროს იმერეთში გაუხიზნავთ, შემდეგ გელათში დაუსვენებიათ. ეს ხატი მსოფლიოში მინანქრის ერთ-ერთ უდიდეს, ასევე მდიდრულად შემკულ ჭედური ხელოვნების ძეგლად ითვლება. იგი საუკუნეების განმავლობაში ვედრებისა და თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა. ხატს მრავალი ძვირფასი შენაწირი ჰქონდა. დავით აღმაშენებელმა ბრძანა: „... ჩემნი ალაღნი (ლაღნი) და თვალ-მარგალიტი ხახულის ხვთისმშობლისად შემოწირავს“. თამარ მეფემ შამქორის ომში ბრწყინვალე გამარჯვების კვალობაზე, დიდი ნადავლი წარგზავნა ხახულის მონასტერში ღვთისმშობლის სახელზე (ყენია, 1972:24,25). ხახულის კარედის მინანქრის დამზადების საკითხი შ. ამირანაშვილს აქვს განხილული (Амиранашвили, 1956:24).

ბის მთლიან კომპლექსზე, ცალკეულ ელემენტებზე, ჩამონგრეულ და ძნელად მისაწვდომ კატაკომბებზე, სადაც განისვენებდნენ გამორჩეული ადამიანები და ა.შ.

ამ ყველაფერს ავტორი აკეთებს ნაგებობის ვიზუალურად მეტად თვალსაჩინო სახვით-დეკორატიული ელემენტების წარმოჩენითა და სწავლულთ – ვახუშტი ბაგრატიონის, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევებისა და ცნობების გამოყენებით. იგი მოკრძალებით აღიარებს, – „ხახულის მონასტერი ჩემ მიერ ძალზე მცირედ იყო შესწავლილი“. ამიტომაც მოიხმობდა სწავლულებს, რის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. მიუხედავად ამ განცხადებისა, შუგუროვმა ხახულის ტაძართან დაკავშირებით მაინც რამდენიმე მნიშვნელოვანი ნეგატიური ფაქტი გაგვაცნო: პირველი ის, რომ ერთ-ერთი წარწერა, მუქი მწვანე საღებავით შესრულებული, მას ტაძრის აღმოჩენის დროს უნახავს, შემთხვევით გადაუწერია კიდეც, ოღონდ სანახევროდ. როდესაც ტაძარი მეორედ მოუნახულებია, აღმოუჩენია – წარწერა უკვე ვიდაცას ბათქაშითურთ წაეშალა. ამ წარწერის გადმოღებული ასლი მას პროფ. თაყაიშვილისათვის გადაუცია (შუგუროვი, 1918:5).

მეორე ფაქტით ვგებულობთ სულით ბოროტი ადამიანის ანალოგიურ ნამოქმედარს, ვიდაცას ღვთისმშობლის გამოსახულებიან ბარელიეფზე წმინდანის სახე ქვებით დაუზიანებია. იგი აკონკრეტებს: „...თუ დარჩენილი კვალით ვიმსჯელებთ, ცოტახნის წინ“ მომხდარა. მისი ვარაუდით: ადგილობრივი მუსლიმანები ასეთ უზნეობას არ ჩაიდენდნენ, ამ საქმესთან შეხება უნდა ჰქონოდა „...ვინმეს პრაპორჩიკებიდან. ხომ ესროდნენ ისინი სამიზნეებს იშხანის ეკლესიაში?“ აღნიშნულ უზნეობას რუსი პრაპორჩიკებისა და ჯარისკაცების გარდა ინტელიგენტი ექიმებიც არ თაკილობდნენ, უპატივცემულოდ ექცეოდნენ მეჩე-

თებს, ქართულ და სომხურ ეკლესიებს. მესამე უცნაურ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ შუგუროვისთვის მოხუცი „თურქების“ მონაყოლი იმის შესახებ, რომ 11 წლის წინ ხახულის მონასტერში ინგლისისა და გერმანიის კონსულების თანხლებით ჩასულა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ბელკი. მათ თურმე გაათხრევენეს კატაკომბები და ისე შევიდნენ შიგ, რომ ტაძარს არც კი მიაქციეს ყურადღება. მიწიდან ამოიღეს ჩვეულებრივზე ორჯერ დიდი ადამიანის ჩონჩხი, მოათავსეს იგი საგანგებოდ დამზადებულ ყუთში და რვა სახედრით ერზრუმში წაიღეს. ეს ხომ ცივილიზებული ადამიანების თვითნებობა და დანაშაული იყო.

გაცილებით უფრო ადრე, 1854 წელს, შუგუროვის მიხედვით, მხითარისტი ნერსეს სარკისიანცი (გამართლებული იქნება თუ ვიტყვით სარქისიანცი) ყოფილა ხახულის მონასტერში და ერთ-ერთი წარწერის მხოლოდ დასაწყისი გაურჩევია: „მე, დავითმა... ავაგე... ალაპ...“ მას ძალზე მოკლედ აუწერია ტაძარი, უცდია გადაეთარგმნა სვეტზე გაკეთებული წარწერა. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომელიც გახეთ „ივერიაში“ 1899 წელს დაიბეჭდა პოლემიკურ ნაშრომში „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა დაღადი“, იქ ნახსენებია სომეხი ისტორიკოსი, არქეოლოგი ვარდაპეტ სარკისიანცი, ვფიქრობთ, იგივე სარქისიანცი. მას 1843–1853 წლებში დაუწვლია ჭოროხის ხეობა და მწუხარებით უთქვამს: „...ლონისძიება არა მქონდა გადმოძღვრო იგი მრავალი ქართული ზედწარწერანი, რომელნიც მე იქა ვნახეო“ (ჭავჭავაძე, 1994:14). გარდა ამისა, შუგუროვი ხახულით დაინტერესებულ კიდევ სხვა სომეხ მეცნიერზეც მიგვანიშნებს, რომელიც ოლთისში ყოფილა, მაგრამ ხახულამდე ვერ მოუღწევია.

შუგუროვს ეთნოგრაფიული დაკვირვებით შეუმჩნევია ხახულის რაიონის მოსახლეობის მცდარი წარმოდგენა საკუთარ

ეთნიკურ ვინაობაზე, მათი გაურკვეველობა და დაბნეულობა ამასთან დაკავშირებით. „...თავისთავს ძირძველ თურქებად თვლიან, თუმცა უმატებენ, რომ უღელტეხილის იქითა მხარეს, ჭოროხის მიღმა ცხოვრობენ ასეთივე, მაგრამ „გურჯების“ ენაზე მოლაპარაკე თურქები. მე მისახელებდნენ რამდენიმე მოხუც თურქს, ოდიოვანვე მცხოვრებთ ხახულში, რომლებსაც ასევე შეეძლოთ ქართულად ლაპარაკი... ჩემმა გამცილებელმა თურქმა, მოისმინა რა ორი ქართველი ჯარისკაცის საუბარი, შენიშნა, რომ ისინი ლაპარაკობენ ისე, როგორც ლაპარაკობენ უღელტეხილის იქით (ესე იგი, აჭარაში), ჩემმა თარჯიმანმა კი, ქართველმა ჯარისკაცმა შავლიაშვილმა ადგილობრივ თურქულ კილოკავში აღმოაჩინა რამდენიმე ქართული სიტყვა“ ( შუგუროვი, 1918:15).

სამწლიანი დაკვირვებით მიღებული გამოცდილების შედეგად, შუგუროვი „სუფთა სისხლის მქონე თურქებს“ განასხვავებს ხახულის მოსახლეობისაგან გარეგნულად გამოსატყუარი ნიშნების: დიდი შავი თვალების, ტუჩების და პირის აგებულების მიხედვით. ასევე, ქცევა-ჩვეულებებითაც. ავტორი ხახულელებზე ამბობს: „ეს არის ხალხი რაინდულად სინდისიერი, სამართლიანი და ძალზედ სტუმართმოყვარე“ (შუგუროვი, 1918:16). სამივე მათგანი, ზოგადად, ქართველი კაცის ხასიათის ფუნდამენტური ნიშნებია, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს და თაობიდან თაობას გადაეცემა.

შუგუროვი სოფელ ხახულის მოსახლეობის გადმოცემებითაც დაინტერესებულა. იგი მოგვითხრობს, რომ ერთმა მოქნილმა და ჯანიანმა ყმაწვილმა, ადგილობრივი მცხოვრების შვილმა, მოისმინა იმის შესახებ, რომ ტაძრის გუმბათში ჯვართან გადამალული ყოფილა ბევრი ძვირფასეულობა, გადაწყვიტა, ამძვრალიყო გუმბათზე, რაც სათანადო მოწყობილობის გა-



რეშე თითქმის შეუძლებელი იყო. იგი ამძვრალა, მაგრამ ვერა-  
ფერი უპოვია, სახლში დაბრუნებულა, იატაკზე დამჯდარა და  
მყისვე მომკვდარა.

– მარიამმა დასაჯა იგი უტიფრობისათვის – დაუმატებია  
სახულელ მუსლიმან მთხრობელს.

ღვთისმშობელი მარიამის კულტის ძალა სახულის მაჰმა-  
დიან ქალებში, რომლებიც მეჩეთებში არ დადიოდნენ, იმდენად  
ძლიერი ყოფილა, რომ უიღბლო სიყვარულის, ძნელი ფეხმძი-  
მობისა და სხვა ცხოვრებისეული უბედურების შემთხვევაში,  
მიდიოდნენ ტაძრის კარიბჭესთან, მარიამის ხატის წინ და  
ხელაპყრობილი შეთხოვდნენ დახმარებას.

დასახელებულ ნარკვევში შუგუროვმა მოკლედ მიმოიხი-  
ლა სახულის ტაძრის ისტორია, გაგვაცნო ამ სოფლის მოსახ-  
ლეობის ყოფა-ცხოვრების ცალკეული მხარე და ნაშრომის  
დასასრულს, ბოლო აბზაცში დასვა კითხვა: როგორი იქნება  
სახულის მონასტრის შემდგომი ბედი? მით უმეტეს, რომ ტერი-  
ტორია კვლავ დაუბრუნდა თურქეთს. ავტორის აზრით, „... ეს  
მონასტერი, როგორც კულტურის ძეგლი და ქრისტიანული  
ეკლესია, შესაძლებელია გადავიდეს ქართველი ერის გამგებ-  
ლობაში“, თუკი უნივერსიტეტი და კათალიკოსი აღძრავს  
სათანადო შუამდგომლობას თურქეთის მთავრობის წინაშე.

ეს იყო ფანტასტიკური, მაგრამ კეთილი ოცნება, რომელიც  
არ აღსრულებულა. მასში გამოვლინდა ავტორის დიდი  
სიყვარული ქართული მატერიალური და სულიერი კულტური-  
სადმი.

ღრომ მოიტანა და ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს  
ტერიტორიაზე, ისტორიულ ქართულ მიწა-წყალზე მცხოვრები  
„გურჯების“, ავბედითობით გადახვეწილ „მუჰაჯირთა“, თუ ზო-  
გადად „ჩვენებურების“ გაცნობა-შესწავლის საქმეში შესამჩნე-  
ვი პროგრესია, რაც ორი მეზობელი ხალხისა და სახელმწიფოს

კეთილი ნების გამოვლენაა და უკეთესი ურთიერთობის პერს-  
პექტივებიც ისახება.

## გამოყენებული ლიტერატურა

აბრამიშვილი, 1979: გურამ აბრამიშვილი, სახულის ხატი, თბი-  
ლისი.

თაყაიშვილი, 1991: ექვთიმე თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართ-  
ველო. ემიგრანტული ნაშრომები, თბილისი.

მენაბდე, 1962: ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის  
კერები. ტ. I, ნაკვ. მეორე, თბილისი.

სიორიძე, 2002: მალხაზ სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართ-  
ველო 1914–1918 წლებში, ბათუმი.

სიორიძე, 2008: მალხაზ სიორიძე, ბათუმის ოლქი ოსმალეთისა და  
მისი მოკავშირეების გეგმებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს  
ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

ყენია, 1972: რუსუდან ყენია, სახულის ღვთისმშობლის ხატის  
კარედის მოჭედილობა, თბილისი.

ჭავჭავაძე, 1994: ილია ჭავჭავაძე, ქვათა დაღადი, თბილისი.

Амиранашвили, 1956: Шалва Амиранашвили, Вклад Грузии в сок-  
ровищницу художественной культуры. Тбилиси.

Шугуров, 1918: Н.М. Шугуров, Грузинский Хахульский монастыр.  
Батуми.

Энциклопедический словарь, 1903: Энциклопедический словарь, т.  
XXXIX<sup>A</sup>, изд. Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон. с. Петербург.

# ზახულის ქართული მონასტერი

(მოკლე ნარკვევი)

მოხსენებიდან, რომელიც პორუჩიკმა შუგუროვმა წაიკითხა  
თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების დეპუტატთა  
დარბაზში 1917 წლის 6 ივნისს, ქ. თბილისში.

კ. დ. მაჭავარიანის გამომცემლობა  
ბათუმი  
პ. ი. ხვინგიას ტიპოგრაფია  
1918 წ.

## ზახულის ქართული მონასტერი

I

იყო დროები ძალზე მძიმე საქართველოსთვის. თითქოს უნდა დაღუპულიყო ამ მრავალტანჯული სახელმწიფოს ხალხი და მისი ათასწლიანი კულტურაც, რწმენა, ენა. მაგრამ ქართველ მეფეებს, კათოლიკოსებს, ეპისკოპოსებს, თავადაზნაურებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ერი ყოველგვარი უბედურებისას თავს ინარჩუნებს მხოლოდ თავისი ეკლესიით, ამიტომ ისინი ყველანაირად ზრუნავდნენ ტაძრებზე, ახდენდნენ მათ რესტავრირებას, მათ სასარგებლოდ სწირავდნენ ფულს, ქონებას, მამულებს. ქართულ ტაძრებზე არანაკლები ზრუნვა გამოიჩინა რუსულმა მთავრობამაც. მცხეთის, სიონის, ალავერდის ტაძრები, ბოდბის წმ. ნინოს, წმ. ჯვრის ზედაზნის, დავით-გარეჯის, ახალი ათონის, დრანდის მონასტრები ბევრად არიან დავალებული რუსებისაგან, ზარზმის ტაძარი კი, შესანიშნავი თავისი დიდებულებით და ნატიფი არქიტექტურული სტილით, რესტავრირებული იყო დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის და იმპერატრიცა მარია თევდორეს ასულის მიერ.

ძველი საეკლესიო ძეგლებისადმი ქართული და რუსული ინტელიგენციის ესოდენ განმანათლებლური მიდგომით თითქმის ყველა აღდგენილია და წარმოადგენს ქართული ხალხის ძველი კულტურისა და ქრისტიანობის ცოცხალ ისტორიას. მაგრამ ინტელიგენციის ამოცანა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესრულებული. თურქეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ბევრია ეკლესიის ძველი ძეგლები, რომლებიც ისტორიკოსების, არქეოლოგებისა და სასულიერო პირების მხრიდან მოითხოვენ სწო-

რედ რომ შესაშურ ყურადღებას. ეს განსაკუთრებით ეხება ხახულის მონასტერს.

მონასტერი, რომელზეც ვსაუბრობ, ისევე, როგორც მის მახლობლად მდებარე ვანქის (ოშკის), იშხნის, ბორხლის (პარხლის - მთარგმნელი) და სხვა მონასტრები, განლაგებულია თურქეთში, თორთუმის ოლქის ფარგლებში, გზად ოლთისიდან ქალაქ ისპირისაკენ. სამიმოსვლო გზების არარსებობის გამო ამ ადგილმა შეინარჩუნა ველური, ფერწერული წარმტაცებით სავსე ხასიათი. იგივე გამოვლინდა ადგილობრივ მოსახლეობაშიც, რომლებმაც შეინარჩუნეს იმ ადამიანების საუკეთესო თვისებები, რომლებსაც არ შეხებიათ ყალბი კულტურის შედეგები. მოგონებები ხახულზე, მის მდიდარ ბუნებასა და ადგილობრივ მცხოვრებლებზე, ყოველთვის შეადგენს ჩემი ცხოვრების ნათელ ფურცელს. 5 წლის წინ დედაჩემი და ჩემი ძმა ცხოვრობდნენ ქუთაისში, მე ხშირად ჩავდიოდი მათთან და, როგორც სეირნობის დიდი მოყვარული, ხშირად ვსტუმრობდი მდინარე წყალწითელას ხეობას, სადაც განლაგებულია მოწამეთასა და გელათის მონასტრები. აქ მე ძალიან დავინტერესდი ადგილობრივი ლეგენდებით და, კერძოდ, ხახულის ღვთისმშობლის ხატი. ძმის გარდაცვალების შემდეგ მე არ ვყოფილვარ ქუთაისში, ვმსახურობდი სარიყამიშში და თითქმის სულ მივივიწყე ხახულის ხატი. 1916 წლის ადრეულ გაზაფხულზე დავინიშნე ხახულის (ხოხუდის) რაიონის კომენდანტად. ეკლესიების მრავალმა ნანგრევმა (როგორც აღმოჩნდა, ქართული ეკლესიების) მიიქცია ჩემი ყურადღება... მაშინვე გამახსენდა გელათის მონაზონთა მოთხრობები იმაზე, რომ ხახულის ხატი წამოღებულია თურქეთიდან, სოფ. ხახულიდან, სადაც მონასტრები საძირკვლამდე დანგრეულია. მე მომინდა სურათი გადამეღო ცნობილი ხატის „სამშობლოს“ თუნდაც ნანგრევებისათვის. არცთუ ისე ხანგრძლივმა ძიებამ მიმიყვანა არა ქვების სევდიან გროვასთან, არამედ გენიალური ოსტატის ბრწყინვალე ქმნილებასთან: ხახულის ტაძარ-

თან, რომელიც ამაყად აზიდულიყო მრავალსაუკუნოვანი კაკლის ხეების მწვანე ფოთლებზე მაღლა.

## II

ხახულის მონასტრის ტაძარი დგას სოფელ ხოხუდის (ხახულის - მთარგმნელი) განაპირას, თუმცა, საკუთრივ სოფლის კი არა, არამედ ვრცელი ხილის ბაღისა, რომელშიც აქა-იქ მიმოფანტულია თურქული სახლები. ადგილი აქ ძალზე ლამაზია, აქ ნამყოფი სამხედროების აზრით, - „სამოთხეა“: ყველანაირი ხილის ხეები, ჩანჩქერები, ნაკადულები, რვა და ათი კაცის მკლავისიძხხო კაკლის ხეები და დასასვენებლად მყოფი და შეძლებული თურქების თვალწარმტაცი სახლები (ბაღები, რომლებიც არანაირ მოვლას არ ითხოვენ, ჭარბად კვებავენ მათ). ასეთი ბუნება, რა თქმა უნდა, სრულიად შეესაბამება IX საუკუნის სავანისათვის ადგილის შერჩევას!

მწვანე ხეების კორომიდან მონასტერი როგორღაც უცბად, მოულოდნელად ჩნდება. ტაძარზე პირველი შეხედვისას ძნელია წარმოიდგინო, რომ ის 1100 წლისაა! ძველი ქართული ეკლესიების დიდი ნაწილი ხომ მრავალჯერ იყო რესტავრირებული, რაც ხშირად არღვევდა მათ სიძველეს. და ეს მაშინ, როდესაც ხახულის ტაძარი თერთმეტი საუკუნის განმავლობაში თითქმის ხელუხლებელი დარჩა. ერთი უმნიშვნელო ბზარი საკურთხევის უკან შეიძლება რამდენიმე საათში შეკეთდეს, ბათქაშის განახლება სჭირდება მხოლოდ საკურთხეველს, ჯვრები უკვე აღმართულია... ტაძარზე პირველი შეხედვისთანავე ყველაზე მეტად გაცემს მისი ქართულ-ბიზანტიური ტიპის გუმბათი, ნატიფი აჟურული ჩუქურთმით ქვაზე და სვეტებზე, გადახურული ძველი ოქროსფერ-ყვითელი მოჭიქული კრამიტით (დაახლოებით 2 გოჯის სისქის), რომელიც მზის სხივებზე მინასავით ბრწყინავს. შემდეგ მზერა უნებურად გადადის ტაძრის კედლებზე, რომლებიც აგებულია ერთმანეთთან გულმოდ-

გინედ მიწყობილი რუხი ფერის უზარმაზარი მონოლითური ქვებით. კამარები ორმაგ ფანჯრებზე ეყრდნობა წყვილ გრეხილ სვეტს, წითელი და რუხი ქვებისგან გაკეთებული ზღუდარის ზემოთ რომ სხივებად იშლებიან და მთავრდებიან ნატიფი ჩუქურთმიანი კამარით. სამხრეთი ფანჯრის ზემოთ არის სკულპტურული გამოსახულება ჩიტისა ნახევრად გაშლილი ფრთებით (სულიწმიდა).

უფრო ქვემოთ მზერა ჩერდება 2 საჟენამდე სიმაღლის კამაროვანი გალერეის ტიპის ღია ნართექსზე ან პორტიკზე, რომელიც ტაძარს სამხრეთიდან ეკვრის. ჩრდილოეთი პორტიკი დახურულია და თითქოსდა შეადგენს ტაძრის ერთ-ერთ ეკვდერს. ამ პორტიკის ბოლოებში განლაგებულია ორი საკმაოდ კარგად შემონახული სამლოცველო, რომელთაგან ერთ-ერთი ომამდე გამოიყენებოდა სკოლად თურქი ბავშვებისთვის. პორტიკიდან არის გვერდითი, მთავარი შესასვლელი ტაძარში, ძველებური რკინის კარით ორ სვეტს შუა, რომელთაგან ერთ-ერთზე არის ძველი წარწერა, ამოკვეთილი ხუცური ანბანით პირდაპირ კაპიტელზე. სომეხმა მეცნიერ-ისტორიკოსმა ნერსეს სარქისიანცმა, რომელმაც მოინახულა ხახულის მონასტერი 1854 წელს, მხოლოდ წარწერის დასაწყისი გაარჩია: „ მე, დავითმა... ავაგე... ალაპ...“.

მეორე წარწერა ორნამენტზე, გაკეთებული მუქი-მწვანე საღებავით, იყო ჯერ კიდევ ჩემ მიერ ტაძრის აღმოჩენის დროსაც და მე ის შემთხვევით გადაწერილი მაქვს მხოლოდ სანახევროდ. როდესაც ტაძარი მეორედ მოვინახულე, წარწერა უკვე ვიღაცას ბათქაშითურთ წაეშალა<sup>5</sup>.

გვერდითი მთავარი შესასვლელიდან მარჯვნივ და მარცხნივ, კარის ზემოთ, შესანიშნავი ბარელიეფებია, რომელთა ნაწი-

<sup>5</sup> წარწერის ასლი გადაცემული მაქვს ქართული უნივერსიტეტის პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილისათვის.

ლის გადაღება შევძელი: მარჯვნივ მოჭიქული უზარმაზარი გასაღებით, მის ქვემოთ ვეშაპი (ფეხებიანი), რომელიც ყლაპავს წინასწარმეტყველ იონას (ამ უკანასკნელს ხელები გაწვდილი აქვს თავის გასწვრივ)... კარების თავზე არის გამოსახულება - ღვთისმშობელი ყრმით, მარცხნივ, წმინდა გიორგი - შუბით, უფრო ქვემოთ - ლომის ბარელიეფური ფიგურაა. ყოველი ფიგურის ზომა 2-დან 3 ფუტამდეა. მარჯვნივ, კედელზე, რომელიც პორტიკს სამლოცველოსგან გამოჰყოფს, არის ბარელიეფი ღვთისმშობლის გამოსახულებით, ამასთან, მისი სახე ქვებით არის დაზიანებული, თანაც, თუ დარჩენილი კვალით ვიმსჯელებთ, ცოტა ხნის წინ. ეს ჩემამდე იყო გაკეთებული და უცნობია, ვის მიერ. ყოველ შემთხვევაში, არა თურქების, რადგანაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე მათ არანაირად არ შეურაცხევიათ არცერთი ხატი, არცერთი ბარელიეფი. სრულიად შესაძლებელია, რომ აღნიშნული მკრეხელობა ჩადენილი იყოს იმათ მიერ, ვინც შემდგომში შეავსო „შეგნებული ამხანაგების“ - იმ ბურჟუებისა და მემამულეების მტრების რიგები, რომლებმაც „ღმერთი მოიგონეს“. შესაძლებელია, რომ ამ საქმესთან შეხება ჰქონდეს ვინმეს პრაპორშჩიკებიდან. ისინი ხომ ესროდნენ სამიზნეებს იშხნის ეკლესიაში? ტაძარს უკნიდან, მთელ მის სიფართოზე, უშუალოდ ეკვრის ნართექსი, რომელიც შედგება ორნამენტური კედლების მქონე სამი ნახევრადბნელი განყოფილებისგან. გარე კარი ამ ნართექსს არ ჰქონდა, ტაძარს კი ის უერთდებოდა კარით შუა (დიდი) განყოფილებიდან (ნეფიდან): ეს კარი მე დროებით ამოვაშენე, რათა თავიდან ამეცილებინა ტაძარში გარედან მოხვედრა პატარა ფანჯრის გავლით, მიწიდან რომ არც ისე მაღლა მდებარეობდა.

ტაძრის ორფერდა სახურავი შედგება კამარასგან, რომელიც გარედან დაფარულია ქვის რუხი ფერის ფილებით. ეს ფილები მთელია, მაგრამ მათ ღარებში ამოსულია ბალახი და პატარა ხეც კი, რის გამო წვიმის წყალი აღწევს სხვენში, იქიდან კი ტენის



სახით გადადის ტაძრის შიდა კედლებზე. სხვენი ადამიანის სიმაღლეზე ოდნავ ნაკლებია, მის კედლებში თითქოს ჩასმულია ფიცრები, რომელთა გაღება საინტერესო იქნებოდა. სხვენიზე ბევრია გვირაბის მაგვარი გასასვლელი, რომლებიც მის ცალკეულ ნაწილებს აკავშირებენ. სხვენიზე ასვლა მხოლოდ ამონატებით შეიძლება. როგორც ჩანს, აქ უკვე ნამყოფი არიან ცნობისმოყვარენი.

ტაძრის გარე ხედზე მოკლე საუბრის დასასრულისას უნდა აღვნიშნო, რომ აღწერა ცალკეული ორნამენტებისა, რომლებიც იმ ქვებზეა დატანებული, ტაძრის კარებს და ფანჯრებს რომ ამშვენებენ, დიდ დროს წაიღებდა. უპირატესად ეს არის ნატიფი, გამობურცული ხვეულები, რომელიც ძვირფას მაქმანს გვაგონებს.

### III

ტაძრის გარე დათვალიერების შთაბეჭდილებები თითქოსდა იმდენად ძლიერია, იმდენად გვიპყრობს, რომ უფრო მეტი გაოცება ჩვენ აღარც შეგვიძლია... მაგრამ გადააბიჯებ რა სამხრეთი კარის ზღურბლოს, უნებლიედ იყინები ესთეტიკურ აღტაცებაში... თითქოს და არც თუ ისე დიდი, იმის შედეგად, რომ დროთა განმავლობაში ან ტაძარი ჩაჯდა მიწაში, ან მიმდებარე მიწის დონე ამაღლდა, ის ახლა უზარმაზარი ჩანს... მაგრამ ხუროთმოძღვრის საოცარმა არქიტექტურულმა ალლომ უზარმაზარი სვეტები და გუმბათი ისეთი მსუბუქი გახადა, რომ გიკვირს, როგორ არსებობენ ისინი თუნდაც მოცემულ წუთს, არათუ 11 საუკუნე! შიგნით ტაძარს აქვს ჯვრის სწორი ფორმა. მოგრძო ნაწილს, სადაც მლოცველები იდგნენ, მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე აქვს სვეტნარები, რომლებიც თითქოს და გამოყოფს ორ ნართექსს, თუ ორ დერეფანს უფრო დაბალი კამაროვანი ჭერით. მთავარი, ასევე კამაროვანი, ჭერი ეყრდნობა ახლახან დასახელებული სვეტების კამარებს, რაც მთლიანობაში

ქმნის ძალიან ჰარმონიულ შეხამებას. საკურთხევლის წინ ტაძრის ყველაზე ფართო ნაწილია (ჯვრის ხარისხა).

ტაძრის საკურთხევლის ნაწილი ამაღლებულია მთელი ეკლესიის იატაკის დონეზე  $\frac{3}{4}$  არშინით, ამასთან, აღსავლის კარისკენ მივყავართ 3 ნახევრადმომრგვალებულ საფეხურს. ხახულის ტაძრის საკურთხევლის ნაწილი სრულიად წააგავს სიონის ტაძრისას, ოღონდ უფრო მაღალია. საკურთხევლის ნაწილის მარჯვნივ და მარცხნივ პატარა კარები, ე. წ. სადიაკონოები, პატარა სამლოცველოები მრგვალი დაბოლოებებით საპირისპირო მხარეებზე და საკურთხევლის ამაღლებებით. ჩანს, რომ ამ სამლოცველოებში, როგორც ეს ხდებოდა ძველად ქართულ ეკლესიებში, კანკელები არ იყო.

მთავარი საკურთხევლის ერთადერთი ვიწრო პატარა ფანჯარა ძალიან ცოტა სინათლეს იძლევა, მაგრამ კედლებზე, დაახლოებით 1,5 საყენის სიმაღლეზე, მაინც კარგად ჩანს საკმაოდ შემონახული, პირდაპირ ბათქაშზე, ფერადი ხატები ადამიანის სიმაღლისა. მარჯვენა 7 ხატი ნაწილობრივ დაზიანებულია. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ ხატებზე გამოსახულია 13 ასურელი მამა, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ ქრისტეობიდან მე-6 საუკუნეში (ან მოციქულები). ფერწერაში უპირატესად მწვანე და ბორდოს ფერებია. ხატებს ქვემოთ ნახევრად მრგვალი ნიშებია, რომლებიც მთავრდება 9 დასაჯდომელით, ამასთან, მთავარი, როგორც ჩანს, ეპისკოპოსის, მთავრდება გიორგის ჯვრის მსგავსი ბარელიეფით. მარჯვნივ და მარცხნივ საკურთხევლის კედლისგან მართკუთხა ნიშა-მაგიდებია. ასეთივე ნიშები არის ტაძრის შუა ნაწილშიც. ტრაპეზის ქვა-მონოლითი ამჟამად მდებარეობს ტაძრის მარჯვენა შესასვლელთან. საინტერესოა ტაძრის გუმბათი. გვესახება, რომ ეს არის ტაძრის ყველაზე ნათელი და, ამასთანავე, ყველაზე მსუბუქი ნაწილი, ძალიან ლამაზად მოხატული: დიდი ბიზანტიური თეთრი ჯვარი ვარსკვლავებით მოჭედით ცისფერ ფონზე.

გუმბათი საუცხოოდ შენარჩუნებულია და შეკეთებასაც კი არ მოითხოვს.

ტაძრის შიგა კედლები, რამდენადაც ეს შეიძლება ვივარაუდოთ ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმების მიხედვით, დასაწყისში არ იყო შებათქაშებული და შემდეგ გაკეთდა. ბათქაშის დიდი ნაწილი ამჟამად არ არის, რაც, არსებითად, სულაც არ აკნინებს ტაძრის სიდიადეს. როგორც ტაძრის, ისე ნართექსის იატაკი დაფარულია ქვის დიდი ფილებით, რომლებიც მჭიდროდ არის მიკრული ერთმანეთთან და საკმაოდ გამართული სახით არის შემონახული.

#### IV.

ტაძრის მახლობლად მიმოზნეულია თერთმეტამდე შემონახული, ან ნანგრევებად ქცეული ეკლესია და სამლოცველო, რომლებიც, როგორც ჩანს, ხახულის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა: ზოგიერთი სამლოცველო მნახველს აოცებს არქიტექტურის სილამაზით და ხაზების მოხდენილობით.

მონასტრის მთავარი ტაძრის უკან არის შესასვლელი კატაკომბებში, რომელიც წარმოადგენს ქვით მოპირკეთებულ გრძელ დერეფანს. აქ, ადგილობრივი ძველი თურქი მოსახლეების სიტყვებით, ბევრი აკლდამაა. მიუხედავად დიდი ცდუნებისა, მენახა ეს აკლდამები, ვერ შევძელი ამის გაკეთება შემდეგი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, მე არ მინდოდა დამერღვია არქეოლოგიური კომისიის წესები, რომელთა მიხედვით არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება აქვთ მხოლოდ კომისიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს; მეორე, მე მეშინოდა ადვილად შესამჩნევი არ გამეხადა შესასვლელი კატაკომბებში, ამჟამად ქვებითა და ბუჩქნარით დაფარული. ფრონტზე ხანგრძლივი ყოფნის მწარე გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ხანდახან ეკლესიებიც იმდენად დაბინძურებულია, რომ ფეხსაც ვერსად დაადგამ. ზოგიერთი ჯარისკაცის

უცნაური ფსიქოლოგიის მიხედვით, ნებისმიერი უცხოური ეკლესია თურქეთში - ეს თურქული ეკლესიაა და არანაირ პატივისცემას არ მოითხოვს...

მე რომ გამეხსნა შესასვლელი კატაკომბებში, შესაძლოა, გახსნილი აკლდამებიდან ამოყრილიყო ძვლები, როგორც მე ეს ვნახე ერზერუმში მელიქ სულთანების ცნობილ სამლოცველოებში, ან აქ გაკეთდებოდა სადგომი აქლემებისთვის. ასე, მაგალითად, კარმუჯში, ვანის ტბის ნაპირზე, ორი ძველი სომხური ეკლესია საერობო კავშირის მიერ გამოყენებული იყო გადასაყვანი ადამიანებისა და „საერობო მალაზიების“ საწყობებისთვის...

ამიტომ მე არ გამიხსნია კატაკომბებში შესასვლელი, მხოლოდ მოვისმინე რა მოხუცებული თურქების მონაყოლი იმაზე, თუ როგორ ჩამოვიდა მონასტერში 11 წლის წინ ერზერუმიდან მთელი ექსპედიცია, შემდგარი ერთი „მნიშვნელოვანი მეცნიერის“ (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ბელკი), ინგლისისა და გერმანიის კონსულების და ბევრი კავასისგან, რომლებმაც ხახულში დიდი გაჭირვებით შეაღწიეს იმ დროს გზის არარსებობის გამო. ამ ექსპედიციას დიდი ყურადღება არ მიუქცევია ტაძრისთვის, მაგრამ ძალზე დაინტერესებული იყო კატაკომბებით. ბელკმა სწრაფად ნახა შესასვლელი, ადგილობრივ მოსახლეებს უბრძანა მისი გათხრა და იქიდან ამოიღო ჩონჩხი, ორჯერ უფრო დიდი, ვიდრე ჩვენი თანამედროვე ადამიანების ჩონჩხები. ეს ჩონჩხი მოათავსეს სპეციალურად გაკეთებულ ყუთში, აკიდეს რვა ვირს და წაიღეს ერზერუმში.

სრულიად შესაძლებელია, რომ გერმანელ პროფესორს ეს ჩონჩხი აინტერესებდა არა იმდენად ანატომიის თვალსაზრისით, რამდენადაც ისტორიის, ეკუთვნოდა რა, როგორც ჩანს, რომელიმე ქართველ მხედართმთავარს ან მეფეს, ან იმავე მეფე დავით მეოთხე აღმაშენებელს, რომელმაც ამოტვიფრა წარწერა სვეტის კაპიტელზე და რომელიც არის ამ ტაძრის აღმშენებელი.

ქრისტიანული საფლავების, აგრეთვე, სამონასტრო საცხოვრებელი შენობების კვალი საერთოდ არ შემორჩენილა. როგორც ჩანს, გარდაცვლილებს უპირატესად კატაკომბებში მარხავდნენ, საცხოვრებელი შენობები კი დაიწვა და დაინგრა, როდესაც მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ამ ადგილებს იპყრობდა მეჰმედ მეოთხე.

## V.

ხახულის მონასტერი ჩემამდე ძალზე მცირედ იყო შესწავლილი. მხოლოდ მოკლე ცნობები მის შესახებ მოყვანილი აქვთ ბატონიშვილ ვახუშტის, ბროსეს, ბაქრაძეს და პროფ. ჯავახოვს. იგი აშენებულია მე-9 საუკუნეში, ანუ იმ დროს, როდესაც ააგეს ან დაიწყეს აგება მონასტრისა ოპიზაში და ტაძრისა ოშკში.

მთავარი ტაძარი აშენებულია დავით კურაპალატის მიერ, რომელმაც იშვილა ბაგრატ მესამე.

თავის მოკლე ცნობებში მონასტრის შესახებ, დ. ბაქრაძე ადასტურებს, რომ ღვთისმშობლის ცნობილი ხახულის ხატი გატანილია სწორედ დავით მეოთხის მიერ აგებული ეკლესიიდან, თვით ტაძარში კი ახლაც შემორჩენილია ლამაზი ნიშა, სადაც ადრე იყო მოთავსებული ხატი. როგორც ჩანს, მონასტრის მთავარი ტაძარი არის სწორედ ის, რომელიც ჩემს მიერ აღწერილია და მისი აშენების დრო მიეკუთვნება 876 – 881 წლებს. ვახუშტი ბატონიშვილიც ამ ტაძრის აშენებას დავით მეოთხეს მიაწერს.

ამრიგად, ხახულის ტაძარი ამჟამად 1100 წლამდე ასაკისაა! ჩამორჩებოდა რა თავისი სიძველით ცნობილ მცხეთის, სიონის, ალავერდის და სხვა ქართულ ტაძრებს, ხახული, აგებული ქართული ხელოვნების გაფურჩქვნის კლასიკურ პერიოდში (მეცხრე-მეთორმეტე საუკუნეები), თავისი სიმთელის და რესტავრაციების არარსებობის შედეგად არსებითად უფრო ძველია,

რამდენადაც აქ ყოველი ქვა, კირის ყოველი გასმა შეესაბამება ტაძრის აგების დროს და ასევე წარმოადგენს სიძველეს!

როგორც ცნობილია, ხახულის ტაძარი არის სამშობლო ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც ამჟამად იმყოფება გელათის მონასტერში, ქუთაისის მახლობლად. ეს ხატი, რომელსაც ტრიპტიხის სახე აქვს, მდიდრულად შეამკო ძვირფასი თვლებით თამარ მეფემ 1203 წელს ათაბეგ აბუ-ბექრზე, ილდიღუზის შვილიშვილზე, გამარჯვების შემდეგ. ეს ხატი ასევე დიდად შეამკეს დავით აღმაშენებელმა და მისმა ვაჟმა დემეტრე პირველმა. კიოტი გამოჭედილია ქართულ-ბიზანტიური სტილის ფოთლოვანი ლაქებით, რის გამო ხატი შეიძლება დაწერილიყო მხოლოდ 1154 წლამდე. მატთანე „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, რომ ანდრია მოციქული აღწერილ ადგილზე ჩამოვიდა ქ. ტრაპეზუნტიდან, ქრისტიანობაზე მოაქცია მოსახლეები და ისევე როგორც ამას აკეთებდა სხვა ადგილებში, მისცა მათ ასლი ხალკოპრატიის ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც, გადმოცემით, დაწერილია ლუკა მახარებელის მიერ. ყოველ შემთხვევაში, ხატის სიძველე, თუ ვიმსჯელებთ კიოტის ორნამენტაციით, მე-12 საუკუნეს ეკუთვნის.

1854 წელს ხახულის მონასტერს ეწვია სომეხი ისტორიკოს-არქეოლოგი, მხიტარისტი ნერსეს სარქისიანცი, რომელმაც ძალზე მოკლედ აღწერა ტაძარი და შეეცადა გადაეთარგმნა სვეტზე გაკეთებული წარწერა. ეს წარწერა და სხვები, ჩაწერილი სარქისიანცის მიერ თორთუმისა და ისპირის ოლქებში, შემდგომ გამოცემულია ბროსეს მიერ. ტაძრის ორი სურათი ჯავახოვმა მოათავსა თავის „ქართველი ერის ისტორიის“ მე-2 ნაწილში, მაგრამ სურათები, როგორც ჩანს, გაკეთებული იყო ძალზე დიდი ხნის წინ, რადგან გუმბათის ფანჯრები ჯავახოვის სურათებზე უბრალოდ აჭედილია ფიცრებით, და ეს მაშინ, როდესაც მოგვიანებით დაყენებული ფანჯრის მოჩუქურთმებული ჩარჩოები სიძველის გამო ამჟამად სრულიად გამოუსადეგარია.

ხუთიოდე წლის წინ რომელიღაც ისევ სომეხი მეცნიერი შეეცადა შეეღწია მონასტერში ოლთისიდან, მაგრამ ხახულამდე ვერ მიაღწია. 10 წლის წინ ხახულის მონასტერში ჩამოსული იყო ზემოხსენებული პროფესორი ბელკი.

## VI.

ეთნოგრაფიული დაკვირვებები ხახულის რაიონში შეიძლება ძალზე საინტერესო იყოს. აქაურობა, როგორც ცნობილია, შეადგენდა ნაწილს „ეს პირი საქართველო“, ანუ, დასავლეთ საქართველოსი. ადგილობრივი ადმინისტრაციული ცენტრის, თურქულ ქალაქ ისპირის სახელწოდება დღემდე ინარჩუნებს თავის ქართულ წარმოთქმას „ესპირი“. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეები, თავისი სრული უკულტურობის გამო, თავისთავს ძირძველ თურქებად თვლიან, თუმცა უმატებენ, რომ უღელტეხილის იქითა მხარეს, ჭოროხის მიღმა ცხოვრობენ ასეთივე, მაგრამ „გურჯების“ ენაზე მოლაპარაკე თურქები. მე მისახელებდნენ რამდენიმე მოხუც თურქს, ოდითგანვე მცხოვრებს ხახულში, რომლებსაც ასევე შეეძლოთ ქართულად ლაპარაკი. რომელიღაც მოხუცი უყვებოდა ჩემს ქართველ თარჯიმანს, ძველ გადმოცემას: თითქოსდა ეკლესიები ხახულში, იშხანში<sup>6</sup>, ვანქსა (ოშკი) და ბორხალში (პარხალი - მთარგმნელი) მდიდარი და ცნობილი ქალი მეფის (როგორც ჩანს, თამარის!) მიერ არის აშენებული. ჩემმა გამცილებელმა თურქმა, მოისმინა რა ორი ქართველი ჯარისკაცის საუბარი, შენიშნა, რომ ისინი ლაპარაკობენ ისე, როგორც ლაპარაკობენ უღელტეხილის იქით (ესე იგი, აჭარაში), ჩემმა თარჯიმანმა კი, ქართველმა ჯარისკაცმა

<sup>6</sup> ამ ეკლესიის აგება, როგორც ჩანს კათოლიკოს ნერსეს მესამე იშხნელის დამსახურებაა, რომელსაც უწოდეს ..... მშენებელი, რომელიც კათოლიკოსად აირჩიეს 641 წელს და რომელიც საქმეებს განერიდა (sic) 658 წელს და რომელმაც კვლავ აიღო თავისთავზე მმართველობა 658 წელს. გარდაიცვალა 661 წელს.

შავლიაშვილმა ადგილობრივ თურქულ კილოკავში აღმოაჩინა რამდენიმე ქართული სიტყვა.

თურქეთის ფრონტზე სამი წლის განმავლობაში ყოფნისას მე კარგად დავაკვირდი სუფთა სისხლის თურქებს, მაგრამ ხახულელი თურქების, განსაკუთრებით, ვაჟების სახეებზე, მკაფიოდ ვამჩნევდი სუფთა ქართულ ნიშნებს. ძალზე დამახასიათებელია დიდი შავი თვალები და ტუჩებისა და პირის აგებულება.

ადგილობრივმა თურქებმა არ იციან, რომ ოდესღაც ისინი ქრისტიანები და, არსებითად, ქართველები იყვნენ.

სტატიაში „Проблески Христианства в Турции“, რომელიც დაბეჭდილი იყო „Вестник Грузискаго Эхзархата“ (1916 წ. №12), მე უკვე მოყვანილი მქონდა რამდენიმე ფაქტი, რომლებიც უნდა ქცეულიყვნენ იმ ვარაუდის საფუძველად, რომ ადგილობრივი მოსახლეები არიან პირდაპირი შთამომავლები ძველი ქართველი ქრისტიანებისა, ვინც ტაოში (ტაოსკარი) კათალიკოს მოსეს დევნას გაექცა, რომელმაც არ სცნო ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილება.

სპეციალურად ხახულელ თურქებზე ვიტყვი: ეს არის ხალხი რაინდულად სინდისიერი, სამართლიანი და ძალზე სტუმართმოყვარე. ადგილობრივი მოსახლეები, გაღატაკებულნი ომის შედეგად, ქცეულნი ჯარისკაცების მხრიდან ხშირი წყენის ობიექტად, მიუხედავად ყველაფრისა, უცვლელად ინარჩუნებდნენ ჩვენს, განსაკუთრებით, ოფიცრების მიმართ, ყველაზე კეთილ განწყობას. არ მახსოვს შემთხვევა, რომ მათ ბოროტებაზე ბოროტებით ეპასუხათ. პირიქით, მცირედ სიკეთეს ისინი გამოკვეთილი სულიერი მაღლიერებით პასუხობდნენ. ერთხელ, დეკანოზ ს-თან საუბრისას, ვუყვებოდი რა მას ჩემი დაკვირვებების შესახებ, ვუთხარი ხახულელ თურქებზე: აი ადამიანები, რომლებმაც თავისთავში განასახიერეს ქრისტიანობის იდეალები!

დეკანოზი დამეთანხმა.



ჩემდამი, თავისი პირველი უფროსისადმი, ხახულები თურქები ყოველთვის იყვნენ ძალზე კეთილად და მეგობრულად განწყობილნი. ისინი სიამოვნებით მეხმარებოდნენ ნაგვისაგან ტაძრის გაწმენდაში, ინტერესდებოდნენ ჩემი საქმიანობით ტაძარში, და მიყვებოდნენ ტაძართან დაკავშირებულ ადგილობრივ ლეგენდებს. ასე, მაგალითად, ოდესღაც ერთმა მოქნილმა და ჯანმრთელმა ახალგაზრდამ, ადგილობრივი მცხოვრებლის შვილმა, მოისმინა რა მოთხრობები იმაზე, რომ გუმბათში, ჯვართან ჩადებულია ბევრი ძვირფასეულობა, მოიფიქრა გუმბათზე აძრომა, რაც თითქმის შეუძლებელი იყო შესაბამისი დამხმარე საშუალებების გარეშე. გუმბათამდე კი აძვრა, მაგრამ ვერაფერი ნახა, დაბრუნდა სახლში, დაჯდა იატაკზე და უმაღვე მოკვდა. „მარიამმა დასაჯა იგი თავხედობისთვის!“, - დაამატა თურქმა, რომელიც ამას ყვებოდა.

საინტერესოა, რომ ადგილობრივი მუსლიმანი ქალები, რომლებიც საერთოდ არ დადიან მეჩეთებში, აქ, ხახულში, უპასუხო სიყვარულის, მძიმე ორსულობის და სხვა ცხოვრებისეული სირთულეების დროს მიდიოდნენ მარიამის ხატთან, რომელიც მდებარეობდა ტაძრის ნართექსთან და ხელებაპყრობილნი შესთხოვდნენ მას დახმარებას.

დაბოლოს, საინტერესოა ტაძრის, აგრეთვე, მისი ხატების შენარჩუნება მუსულმანთა შორის ესოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ეს უკვე არ არის უბრალო მოთმენა სხვა რწმენისა, რადგან ტაძარი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიყენებოდა მეჩეთად. რამდენიმე წლის წინ, თითქმის ტაძრის გვერდით აშენდა ახალი მეჩეთი. ეს მოვლენაც საკმაოდ კარგად ახასიათებთ ადგილობრივ მუსულმანებს. ხომ გაცილებით იოლი და იაფი იქნებოდა ტაძრის საბოლოოდ გადაკეთება მეჩეთად?

თუ თორთუმის და ისპირის ოლქებში კვალიც არ არის ოდინდელი ქრისტიანობისა, ყოველ შემთხვევაში, ეს მიუთით-

თებს სხვა რჯულის შემწყნარებლობაზე, რომელიც არ იქნებოდა ცუდი, გაეთავისებინათ არამართო ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებიც შეურაცხყოფენ თურქულ მეჩეთებს, არამედ ინტელიგენციასაც - ექიმების და „საეროზო გუსარების“ სახით, აგრეთვე პროპორშიკებს, რომლებიც, იყო შემთხვევები, ადებით ეპყრობოდნენ არამართო მეჩეთებს, არამედ ქართულ და სომხურ ეკლესიებსაც იმ ტერიტორიაზე, რომელიც იქცა უკანასკნელი ომის თეატრად.

1916 წლის 29 მაისს მე აღემართე გუმბათზე და მთავარ პორტიკზე ქართული ეკლესიების ტიპის ორი დიდი ჯვარი, გაკეთებული თუთის ხიდან, მორთული მინანქრული ორნამენტით. მართალი რომ ითქვას, გუმბათზე, დამხმარე საშუალებების არარსებობის პირობებში, ჯვრის დადგმა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩემს გუნდში აღმოჩნდა ერთი ქართველი ჯარისკაცი რახრამე, რომელიც პირდაპირ მევედრებოდა, დამერთო მისთვის ნება ამძვრალიყო გუმბათზე და აღემართა იქ ჯვარი. პირდაპირ საოცრებით ააღწია რახრამემ გუმბათამდე, თან აზიდა ჯვარი და ქრისტიანობის სიმბოლომ კვლავ დაამშვენა ძველი ტაძარი.<sup>7</sup> მრავლად შეგროვილი თურქები შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ჯარისკაცს, ახსოვდათ რა მარიამის შუამდგომლობა მათ გამო, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ მარიამი არ აყენებს ზიანს რახრამეს და გამოხატეს თავიანთი გაკვირვება და კმაყოფილება ხმამაღალი ყვირლით, თან დაურიგეს აქ შეკრებილ ჯარისკაცებს ახლად მოკრეფილი ხილი. როდესაც რახრამე წმენდდა წინა, უცნობია, როდის ჩამოგდებული ჯვრის ძველ ბუდეს, ხვრელის ზედ ფსკერზე ნახა დროისგან გალეული ხის ნატეხი, დაფარული ბათქაშით. შუაგულიდან ხის ამ ნატეხისა, რომელიც, როგორც ჩანს, ტაძრის ძველი ჯვრისა იყო, მე შევძე-

<sup>7</sup> ჯვარზე იყო წარწერა: „გაკეთებულია კომენდანტ პორუჩიკ შუგუროვის მიერ. 1916 წლის მაისი.“

ლი სატრაპეზო ჯვრის გაკეთება, რომელიც ჩემთან ინახება. ხეს, რომლიდანაც ჯვარი იყო გაკეთებული, თურქულად ეწოდება „თურგენი“, და ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით, ის არასოდეს არ ღვება და არ ფუჭდება.

აღვადგინე რა ჯვარი გუმბათზე, გადავწყვიტე, საერთოდ სათანადო წესრიგში მომეყვანა ტაძარი, რისთვისაც გავაკეთე კანკელი, ჩავაყენე რა ის ძველ ბუდეებში, რომლებიც ძველი კანკელისგან იყო დარჩენილი, შედეგად, ზუსტად იყო დაცული მისი პროპორციულობა საერთო შიდა ხედის მიმართ. შემდეგ დავამზადე წმინდა ტახტი, სამსხვერპლო, ორი ანალოგია ხატებისთვის, ერთი მაგიდა-ანალოგია წესებისთვის, მაგიდა სანთლებისთვის, განყოფილებებით და სახურავით, სასანთლეები, ტრაპეზის იქითა ჯვარი და ა. შ. ამ საგნების ნაწილი დაფარულია ჯვრის გამოსახულებიანი ბარხატით და სხვა ქსოვილებით, ნაწილი მორთულია მინანქრიანი ბიზანტიური ჯვრებით. ხატები ტაძრისთვის გამოგზავნილი იყო ოდესიდან დედაჩემის, ისტორიკოს მ. თ. შუგუროვის ქვრივის, ანა ალექსანდრეს ასულის, და სხვა პირების მიერ, ნაწილობრივ, შემოწირული ჩემ მიერ. ტრაპეზს იქითა ჯვარზე, რომელიც შეღებილი იყო ღია-ცისფრად და ჰქონდა ოქროსფერი შემკულობა, მე გავუკეთე ქართული წარწერა: „აღსდექ უფალო განსასვენებლად შენდა კიდობანი სიწმინდისა შენისა“ (გამოსვლათა, 131,8). 1916 წლის 24 ივნისს შედგა ჩემს მიერ განახლებული ტაძრის საზეიმო კურთხევა. ღვთისმსახურებას მამა ნიკოლსკი ატარებდა, გალობდა (რუსულად და ქართულად) ჩემი ჯგუფის ჯარისკაცთა გუნდი. შეიკრიბა ბევრი მლოცველი, უპირატესად, რა თქმა უნდა, სამხედროები. ზეიმზე გამოცხადდნენ, აგრეთვე, ადგილობრივი მცხოვრებლები - მუსლიმანები, რომლებიც დიდი ყურადღებით და ასეთივე მოწიწებით ადევნებდნენ თვალს ქრისტიანულ ღვთისმსახურებას. ლოცვის დასრულების შემდეგ ადგილობრივმა იმამმა და მუხთარმა (მამასახლისმა - მთარგმნე-

ლი), აგრეთვე, მოხუცებმა გულითადად მოგვილოცეს ჩვენი დღესასწაული და უხვად გაგვიმასპინძლდნენ ხილით, ჩაით, თაფლით და თუთის კანფეტებით. იმამმა მთხოვა, გამეცნო მისთვის „ქრისტიანული იმამი“ (მღვდელი), რის შემდეგ მასთან გააბა საუბარი რელიგიურ თემებზე. საუბარს ძალზე მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

...

1917 წლის ზაფხულში, ჩემი ინიციატივით და სრულიად საქართველოს პატრიარქის ადგილმონაცვლის მაღალ უწმინდესობის ლეონიდეს და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ თავად კ. აფხაზის განათლებული ხელშეწყობით, მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ხახულის მონასტერში. ექსპედიციამ შეაგროვა მდიდარი მასალა, რომელსაც ამუშავებენ ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ე. ს. თაყაიშვილი და მხატვარი დ. შევარდნაძე.

როგორია ხახულის მონასტრის შემდგომი ბედი? მდებარეობს რა ტერიტორიაზე, რომელიც კვლავ დაუბრუნდა თურქეთს, ეს მონასტერი, როგორც კულტურის ძეგლი და ქრისტიანული ეკლესია, შესაძლებელია, გადავიდეს ქართველი ერის გამგებლობაში, თუკი ის უნივერსიტეტისა და კათოლიკოსის სახით აღძრავს სათანადო შუამდგომლობას თურქეთის მთავრობის წინაშე.

ქ. ბათუმი, 1918 წელი.

## შინაარსი

პორუჩიკი ნ. მ. შუგუროვი და მისი ნარკვევი (ჯემალ ვარშალომიძე)	5
ხახულის ქართული მონასტერი (ქართული თარგმანი)	17

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ელჟარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.12.2015  
ქაღალდის ზომა 60X84 1/16  
ფიზიკური თაბახი 2.2  
ტირაჟი 100

---

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში  
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35